# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 198

“ 22 ” ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის „რანდევუ ბეთანიაში“(ს/კ 404876210) პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 6 დეკემბრის N 33.20.1525 დადგენილების დანართით გათვალისწინებული ვალდებულების შეცვლისა და პირგასამტეხლოს გადახდისაგან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „რანდევუ ბეთანიაში“ (ს/კ 404876210) გათავისუფლების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 127[2] მუხლის მე-3 პუნქტისა და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლების გადაცემის წესის“ მე-14 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 29 ივნისის N25.02.537 განკარგულების შესაბამისად, შევიდეს ცვლილება ,,ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის ,,რანდევუ ბეთანიაში'' პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 6 დეკემბრის №33.20.1525 დადგენილების დანართში და დანართით გათვალისწინებული აღნაგობის პირობების 3.1 პუნქტს დაემატოს 3.1[1] პუნქტი:

„3.1[1]. 2015 წლის 7 ივლისიდან წყნეთი-ბეთანიის გზის აღდგენამდე (მაგრამ არაუმეტეს აღდგენიდან 2 (ორი) თვის გასვლამდე) 3.1 პუნქტით განსაზღვრული აღნაგობის უფლების საზღაური შეადგენს 1 (ერთი) ლარს“.

2. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას:

ა),,ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის ,,რანდევუ ბეთანიაში'' პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 6 დეკემბრის №33.20.1525 დადგენილების დანართით გათვალისწინებული აღნაგობის

პირობების 3.1 პუნქტით დადგენილი, 2015 წლის 6 იანვრიდან - 2015 წლის 6 ივლისამდე გადასახდელი აღნაგობის უფლების ღირებულების გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის 2015 წლის 7 ივლისიდან დარიცხული და დასარიცხი პირგასამტეხლოს გადახდისგან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ,,რანდევუ ზეთანიაში'' (ს/კ 404876210) გათავისუფლებაზე;

ბ) ,,ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის ,,რანდევუ ზეთანიაში'' პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 6 დეკემბრის №33.20.1525 დადგენილების დანართით გათვალისწინებული აღნაგობის პირობების 3.1 პუნქტით დადგენილი, 2015 წლის 7 ივლისიდან - შესაბამისი ცვლილების განხორციელებამდე, აღნაგობის უფლების ღირებულების გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დარიცხული და დასარიცხი პირგასამტეხლოს გადახდისაგან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ,,რანდევუ ზეთანიაში'' (ს/კ 404876210) გათავისუფლებაზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე [signature] გიორგი ალიბეგაშვილი